ხელშეკრულება № M-77

ქ. თბილისი

18 აპრილი 2017 წ.

ერთი მხრივ, შპს "საქართველოს ფოსტა", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „გორი სიტი"-ს დირექტორი ნუგზარ გელაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე (სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა #SMP170001010)ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ავტყოსატრანსპორტო საშუალების ავტოსადგომზე გადაყვანა და შენახვა მიმწოდებლის ავტოსადგომზე უშუალოდ დამკვეთის ან/და საპატრულო პოლიციის მოთხოვნით, სახელმწფო შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (cpv-63712000;63712400)

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს *567.58 (ხუთასსამოცდაშვიდი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი)* ლარს დღგ-ს ჩათვლით,

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს ხეშეკრულების ღირებულების ოდენობის მომსახურება მიმწოდებლისგან.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარული დღეში.

3.2. ხელშეკრულებითს შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა 19 აპრილის ჩათვლით.

3.3. მომსახურების მიწოდების ადგილია ყორის რაიონი სოფ. სვენეთი.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს "საქართველოს ფოსტის" ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ირაკლი მენთეშაშვილი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. მიმწოდებელთან ***ანგარიშწორება ხორციელდება 5(ხუთი) სამუშაო დღეში.*** 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტის" ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ირაკლი მენთეშაშვილი.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 ივნისი ჩათვლით.

მუხლი 12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან და ერთი მიმწოდებელთან რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს „საქართველოს ფოსტა"
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE13BG0000000012286800

გენერალური დირექტორი

ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს „გორი სიტი"
მისამართი:გორი, სოფ. სვენეთი
ს/კ 218043007
ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა" გორის ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა GE45BR0700003608002508

დირექტორი
ნუგზარ გელაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

19 აპრილი 2017 წ.

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა“ შემდგომში „შემსყიდველი“ ტრანსპორის სამსახურის უფროსის ირაკლი მენთეშაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გორი სიტი“-ს დირექტორი ნუგზარ გელაშვილის „მიმწოდებელი“ სახით, ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, ხოლო „მიმწოდებელმა“ ჩააბარა 2017 წლის 18 აპრილს გაფორმებული N M-77 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 567.58 (ხუთასსამოცდაშვიდი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი

“მიმწოდებელი”

"შემსყიდველი”